№ 246 ნოემბერი 20, პარასკევი 1892 ნოემბერი 20, პარასკევი № 246

ივერია

გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდავ უნდა მიმართონ: თბილისში რედაქციას, ეკუიაში, ავშჩალის ქუჩაზედ, ბარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლში; ფოთ-კიროვის გამამგზავრებელ-მიმღებ საგზაო-დოების განცხადებისა, სამგზავრო-ბაზარო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

პარასკევს, 20 ნოემბერს,

ტფილისის სომხურ ნიაში ეკ. მარიამ ვასტანგის ასულის ორბელიანის მოთავეობით

გამართულ იქმნება

კონცერტი

მომავალ ქართულ დედათა სკოლის ფონდის სასარ.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სტრეპეტოვისა, ზანოლისა, ცეიტლინისა და ბ-ნნი: ლეტოტვინი, სარაჯიშვილი და კოვალენსკი.

კონცერტს შემდეგ ტანცები

დასაწყისი კონცერტისა საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება დღეიდამე სომხურ ნიის შეიცართან.

(4—4)

წიგნების გამომცემელ ჟუთაისის ამხანაგობის

მმართველობა ამით აცხადებს, რომ 21 ნოემბერს, საღამოს 7-ს საათზედ, საათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება**, რომელზედაც განხილულ იქმნება შემდეგი საგნები:

1) არჩევა ახალის მმართველისა ნაცვლად ბ-ნ გარსევანიშვილისა, რომელიც ქუთაისში ადარ მსახურობს;

2) მიდება ახალის წევრებისა;

3) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა. (2—2)

ტფილისი, 18 ნოემბერი

ვისაც-კი დაუვლია ქართლ-კახეთის სოფლები, შეამჩნევდა, რომ გლეხთა შორის მეტის-მეტად იშვიათია წერა-კითხვის მცოდნე კაცი. შეიძლება მრავალი სოფელი მოიაროთ და არა თუ ქართული წიგნი ვერ ჰნახოთ გლეხის ოჯახში, გაზეთის ნაგლეჯს ვერ შეხვდეთ, არამედ იქნება დაწერილ ქაღალდის ნახევი და ბარათის ნაპერიც ვერ იპოვნოთ.

სამწუხაროდ, ეს ამბავი არა მარტო გლეხთა თავს არის. ბევრგან თავად-აზნაურთაც ასეთივე გულ-გრილობა ეტყობათ, ასეთივე დაუდევრობა ემჩნევათ წიგნის ცოდნის საქმეში. ხშირია ისეთი თავადი და აზნაური, რომელთაც ხელის მოწერაც-კი არ იციან და წიგნის კითხვის ხალისი ხომ სულ დაჰკარგვიათ.

ან-კი საიდამ უნდა ჰქონდეთ ეს ხალისი, როცა მათ გარშემო არსად არა სჩანს არც წიგნი, არც გაზეთი, არც ნახევი რამ დაბეჭდილის ქაღალდისა.

სამწუხაროა და დიდად დასაფიქრებელი ასეთი გარემოება ჩვენის სოფლისა. დრო ისეთი დადგა, რომ ყველგან მხოლოდ წიგნის ცოდნით და განათლებით სცდილობენ მოაწყონ წუთი-სოფელს, შეიძინონ კეთილ-დღეობა, ადამიანური ცხოვრება და ჩვენში-კი ამისთანას ვერასა ვხედავთ.

ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, ქართული მწერლობა წინ ვერ წავა, ვერ აღორძინდება, ფრთას ვერ გაშლის და აკი ასეც არის. მწერლობა ისე სუსტია ჯერ ჩვენში, ისე უღონო და უღონისძიებო, რომ იმას არავინ არ ეტანება, იმის სამსახურად არავინ არ ემზადება. არ ემზადება იმიტომ, რომ ასე სუსტად გავრცელებული მწერლობა ლუკმა-პურს ვერავის მისცემ, ხელობად ვერავისთვის ვერ გარდაიქცევა.

ამასობაში კაცს ცხოვრება უნდა, ლუკმა-პური აქვს საზრუნველი. და აი ჩვენი ნასწავლი, ჩვენი ინტელიგენტი საქმეს ეძებს სხვა ხელობასა და უწყებაში, სხვა ასპარეზზედ და არა მწერლობაში. თუ შრომობს ვინმე მწერლობისათვის, ლიტერატურისათვის, შრომობს სახელის გულისათვის, ქვეყნის გულ-მტკივნეულობით აღძრული.

აი სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, რომ სალიტერატურო მოღვაწეობა ჩვენში საქველ-მოქმედო მოღვაწეობად გამხდარა, ისეთ მოღვაწეობად, რომელიც მო-ღვაწეთაგან არამც თუ მარტო ზნეობრივს, არამედ დიდს ნივთიერს მსხვერპლსაც ითხოვს. ხოლო რადგანაც ამ გვარნი თავ-გამოდებულნი ყველა საზოგადოებაში ძნელად მოიპოვებინან, ამიტომ ჩვენი ლიტერატურა მარტო ამითი სცხოვრობს, რასაც მიაწოდებენ ათასში ერთხელ ჩვენი მწერლობის მოყვარულნი. ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ალევს თავის ძალ-ღონეს სხვა-და-სხვა უწყებაში სამსახურს და, როდესაც-კი მოიცლის, საჩქაროდ დასწერს ერთს-ორიოდე სტრიქონს: ეს ჩვენს საბრალო ლიტერატურასაო. ამით, რასაკვირველია, ფეხს ვერ გაიმაგრებს და კუუსაც ვერ გაიძღობს ჩვენი მწერლობა.

ცხადია, ამისთანა გარემოებათა შორის, პირველი ჩვენი ცდა ის უნდა იყოს, რომ გავრცელდეს წერა-კითხვა, გავრცელდეს ცოდნა, გავრცელდეს ხალისი წიგნების კითხვისა, ცოდნის შეძენისა. პირველ-დასაწყისი სკოლები, საბუთხაროდ, ძალიან მცირედ არის ჩვენში. საცა არის, იქ სასურველად არ არის მოწყობილი. შეგირდი ბევრს ვერასა სწავლობს იმ სკოლებში და რასაც სწავლობს, იმასაც მალე ივიწყებს უმის კოფოზედ, ღამისა და დღის მეხრეობაში. სამწუხარო უფრო კიდევ ის არის, რომ სკოლების გამრავლების საქმე, მათის განკარგების და უკეთ მოწყობის ზრუნვა ჩვენ ნაკლებად შეგვიძლიან; ჩვენ ხელთ ამ შემთხვევაში ბევრი ღონისძიება არა არის-რა. დაგვშთენია ისევ ერთად ერთი საშუალება— გავრცელება სოფლად ჩვენთა საყვარელ და სახელოვან მწერალთა ნაწერებისა. წიგნების გავრცელება საჭიროა არამც თუ გლეხთა-შორის, არამედ თვით თავად-აზნაურთა შორისაც.

მაგრამ ამ საქმისათვის ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მეტად იაფი წიგნები. იაფი წიგნები საჭიროა ჯერ იმიტომ, რომ უმეტესობას არ შეუძლიან ძვირფასის წიგნების შეძენა და მეორეც, როდესაც ხალხს ჯერ წიგნის კითხვა ჩვეულებად არა აქვს დადაქცეული, მაშინ მდიდარი კაციც-კი ვერ იმეტებს ფულს წიგნების შესაძენად.

ეს-კი ცხადია მაინც, რომ ყოველის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, კითხვას მივაჩვიოთ ჩვენი ხალხი. საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია საზოგადო წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოთა დაარსება. მაგრამ წიგნების სიძვირე ჩვენში ამ საქმესაც ხელს შეუშლის.

ამას წინად ლონდონს ერთს უბანში—უაიტჩეპელში, სადაც უფრო ღარიბნი მკვიდრნი სცხოვრობენ, დაარსეს უფასო საერო სამკითხველო. სამკითხველოს გამართვის დღეს ცნობილმა ლორდმა როზბერიმ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ამ ქამად ინგლისში ისე გავრცელდა იაფი სახალხო წიგნებია, რომ უფასო სამკითხველოებს მარტო ერთად-ერთ აზრი-ღა აქვთ—მიაჩვიოს ხალხი კითხვას და საპიროებად გადაქცეოს წიგნის კითხვაო. „ერთის შლიპპის ფასადა, სთქვა ლორდმა, თქვენ შეგიძლიანთ ახლა გაიმართოთ მთელი იმისთანა წიგნთსაცავი, რომლის შენძენას ვერ შეიძლებდნენ მთელი ვაპრობის მეფენი საშუალო საუკუნეთაო, ვერ შეიძენდნენ მთელი მედიჩები და Fuggis-ები, თუნდა თავიანთი სისხლიც-კი არ დაეზოგნათ ამ საქმისათვის; ასეთი ძვირი იყო მაშინ წიგნი. ან ეს გარემოება არის ჩვენის დროების ძვირფასი და საჭირველი ამბავია...“.

მართლაც და საოცარ იეფობას გვიამბობს ლორდ როზბერი თავის სიტყვაში: ყველა თხზულებანი შექსპირისა ამ ქამად შეიძლება კაცმა იყიდოს (ინგლისში) 9 პენსადაო, (ესე იგი $23^1/_2$ კაპ.); ამ ფასადვე ჰლირარ მილტონის ქმნილებანიო; ბეკონის ნაწერები („опыты“) ჰლირს 3 პენსი ($7^4/_5$ კაპ.); დიკენსის ნაწერების კრებული შეგიძლიათ იყიდოთ $4^1/_2$ პენსადაო (12 კაპ.) და სხვა და სხვა.

მაგრამ ამერიკელები ამ გზაზედ უფრო შორს წასულან: ამ ქამად ამერიკაში სამი გაზეთი იბეჭდება, თორმე, ლავაშებზე. ჯერ წაიკითხავთ გაზეთს და მერე შეგიძლიანთ მიირთვთ. სადაც თამბაქოს ღეჭვაა გავრცელებული, იქ ორი გაზეთი იბეჭდება საღეჭ თამბაქოს „ფილაქნებზედ“...

აი რა გზითა ვრცელდება ინგლისისა და ამერიკის მდაბიო ხალხში სწავლა-განათლება.

არა სტყუეს ლორდი როზბერი, როცა ამბობს: „წიგნები უდიდესი სადემოკრატო ფაქტორია ქვეყნიერობაზეო... სწავლა-განათლება უწინ მომშყვდეული იყო მონასტრებში და ამა ქვეყნის ძლიერთ სასახლეებში. წიგნის ბეჭდვამ გადაატანა და დაბუდა მერე ეს სწავლა-განათლება სამეცნიერო დაწესებულ-

ფელეტონი

„ბნელო“—მოთხრობა ნ. მელა-ნიასი

(დასასრული*)

„ბნელო“-ში დანარჩენ მომქმედთა შორის ბევრნი არიან საკმაოდ ცოცხლად დასურათ-ხატებულნი, განსაკუთრებით დედაბერი შამანდეხა, სოფლები არტემა და სხ.

მაგრამ სრულად და ყოვლის მხრივ სავსებით დასურათებულ ხასიათებს ვერა ვხედავთ ამ მოთხრობაში, რადგან იგი, ვიმეორებთ, პსიხოლოგიურ მოთხრობად ვერ ჩაითვლება. ამ მოთხრობას შეგვიძლიან დავარქვათ უფრო быто-описательная повѣсть. აი ამ მხრით არის შესანიშნავი მოთხრობა „ბნელო“. რამდენადაც ხასიათების დასრულებულ დასურათებითა და პსიხოლოგიურის ანალიზით „სიმონა“ მაღლა სდგას „ბნელოზე“, იმდენად „ბნელო“, როგორც ყოფა-ცხოვრების აღმწერი მოთხრობა (быто-описательная повѣсть) მაღლა სდგას პირველზედ.

ავტორი ზედ-მიწევნით გვიხატავს თვალ-წინ კახელ გლეხის ცხოვრებას, რამდენადაც-კი ეს შესაძლოა 180 გვერდიანს წიგნში; გვიხატავს თვალ-წინ იმის კარ-მიდამოს, სახლ-კარს, ყოფა-ცხოვრებას, გონების სიმაღლეს, ჭირსა და ლხინს. მერე რა ნამდვილი და ცოცხალი სურათებია ჩვენის გლეხის ცხოვრებისა, და ხელოვნურადაც აწერილი! ამის დასამტკიცებლად ჩვენ თითქმის მთელი მოხრობა უნდა ამოგვეწერა თავით-ბოლომდე, რადგან ამ მხრით თითქმის ყველგან ერთ გვარად შესანიშნავია „ბნელო“. გადავშალეთ თუ არა წიგნი, (მწერლობის „მანერად“ არ მიიჩნიოთ, ნამდვილს მოგახსენებთ), აი რა უბრალო, მაგრამ რა ნამდვილს სურათს წავაწყდით:

...„ფიდია, ასე ეძახოდნენ ოქროულას მოსაუბრეს, დაჯდა დერეფანში სამფეხა სკამზე; ქუდი მოიხადა, შუბლზედ მოისვა ოფლის მოსაწენდად და მარცხენა მუხლზედ დაიკქა. ოქროულამ გამოიტანა სველ თიხის ლიტრით წყალი. ფიდიამ ჩამოართვა ლიტრა, გამოაფურთხა, ჩაიყვნა მერე პირში წყალი, დაახრიალა და გამოღვარა. მერე იწოფა ორჯელ ზედი-ზედ. „იშვ!.. ცხონდა მამაშენიო!“ და დადგა ლიტრა ძირს“. („ბნ“—45 გ.).

თუმცა ამისთანა სურათები ბევრგან არის გაფანტული მოთხრობაში, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოგვითმენია და არ შეგვიძლიან არ ამოვსწეროთ იქიდამ ერთი გრძელი ალაგი, რომელიც იმითიცაა შესანიშნავი, რომ იქ გამოხატულია გულ-უბრყვილო მსჯელობა გლეხებისა და მათის გონების სიმაღლე მთელის სიგრძე-სიგანითა.

ვერხ ქვეშ წამოწოლილი გლეხები ასე სუბრობენ:

...—„მე კიდე აგრე გავიგონე, რო აი ანგლიჩნებმა რო რაღაცა მაშინა გადმოაგდეს, იმაჰ გადმოქვა ეგეთი გვალვებიო.

— აი, ოჯახი დეიქცათ, როგორც იმათ მთელი ქვეყნიერობა დაღუპეს!

— ნეტავი მითხრა, მართლა არაფერი არ აბია შიგ?

— აბია კი-არა, ცეცხლითა მუშაობსო.

— ჰეი, თქვენმა გამარჯვობამ, ცეცხლით როგო მუშაობს?

— რა ჭკვიანი ხემწიფე ყოფილა, ვისაც ის მოუგონია!

— ჩვენი ხემწიფე უფრო ჭკვიანი არა ყოფილა, რო აი მესრეგზე როა გაბმული, ის მოუგონია!

— ი რაღა არი, ნეტავი მითხრა?

— ის ის არი, რო საჰწრაფო წიგნებსა ჰგზავნიან ამით.

— აბა როგო?

— ერთი რაღაცა არი, პეპელსავითაო, იმაში ჩაჰდგებენ წიგნსაო და იგრე მოჰკურცხლავსო, რო თვალს ვერ მოასწრობს კაცია.

— არ დაიჯერებთ, კაცებო, თქვენმა გამარჯვობამ, იმ დღეს მე დავინახე, ბუზიჰ ტოლა ჩანდა და სუ ისე სრიკინ-სრიკინი მიჰქონდა.

— კარგი თვალი უნდა, რო ის დაინახოს კაცმა.

— ჩემმა მზემ და თავი არ მომიკვდება, მე დავინახე.

— ყველაფერი მაიგონა ჩვენმა ხემწიფემ და ე სიკეთილის წამალი-კი ვერ მიგონა,——თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა.

— რაც უფლის დაწერილია, იმას როგო მოიგონებს ხემწიფე!

— ხო უფლიდამ არის ნაკურთხი და რატომ ვერ მოიგონებს?

— იმიტომ ვერ მოიგონებს, რომ უფალს იქ უწერია: მავანი კაცი მავან დროს უნდა მოკვდესო, და აბა ხემწიფე როგო ამოჰშლის რაც უფალს დაუწერია?

— ნეტავი რომელი ხემწიფე უფრო ღონიერია?

— ჩვენი ხემწიფეჰთანა ღონიერს არაკაი ამბობენ, სუ ბუენასავით გამოჰყავ ჯარიო.

— რას ამბობ? ანგლიჩან ხემწიფეს, ამბობენ, ღრუბლითა ომობსო.

— ჰეი, ის ოჯახ-დასაქცევი, რა ღონიერი ყოფილა!

— აბა ცა და ღრუბელიც იმიჰთვინ შაგეკარა იმ სახლ-კარ დაღუბულმა, რო ღრუბლების ხემწიფეცა ყოფილა-და!

— ჰმ! მაგიჰთანებისა მე მკითხოთ, ვინ არის ღონიერი და ვინ არა?—წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა.—ღონიერი ყეენია და ხონთქარი. ყეენი რო ტახტიდამ დაიძვრებაო, მზე და მთვარე დაბნელდებაო; როცა ხონთქარი დაიძვრება, მაშინ კიდე დედამიწა იძვრებაო.

— მე კიდე ისეე იქა ვარ. ის ოჯახ-დასაქცევი, რა მდიღარი იქნება ი ანგლიჩას ხემწიფეცა ვიღაცა? მგონია მაშინ მოჰყავ წვიმა, როცა ყანებს უჭირს.

— არა, პერით ჩვენი ხემწიფე დაჰკრამსო და ფულით-კი ისა სჯობიაო.

*) იხ. „ივერია“ № 245.

ᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ამასობაში დიდმა ხანმა გაიარა და დადგა ახლა ისეთი დრო, რიცა სწავლა-განათლების სხვებმა უნდა ნაიელი მოჰფინონ მთლად ერის გონებასა და მდაბიო ხალხის ქოხ-მახსაცა“...

ეს ასეა ევროპაში და ჩვენში-კი სწავლა-განათლების სხვებს არამც თუ მდაბიო ხალხამდე ვერ მიუღწევია, არამედ თვით ინტელიგენციასაც-კი ძლივს მისწვდომია...

ამ რამდენსამე წლის წინად ჩვენმა ახალგაზდობამ განიზრახა იაფ-ფასიან სახალხო წიგნაკების ბეჭდვა. ორი წიგნაკი, ვგონებთ, კიდევ გამოცემულ იქმნა, მაგრამ შემდეგ-კი ამ საქმემ ფეხი ვერ მოიკიდა. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ვითომ ჩვენ ახლად დაარსებული „ამხანაგობა“ მოვალეა უფრო იაფი წიგნები ჰბეჭდოს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ იაფ წიგნების ბეჭდვა და გავრცელება საქელ-მოქმედო საქმეა და ვი თუ ახლად დაარსებულმა „ამხანაგობამ“ ვერ შეიძლოს ამისთანა მძიმე ტვირთის გაძღოლა. დეე ისეე, ჯერ-ჯერობითი, ვიდრე ზურგს მოიმაგრებს, ნორჩი „ამხანაგობა“ ეხლანდელს გზას ნუ აუქცევს. ჩვენის ლიტერატურის აღორძინებისათვის ამ ამხანაგობის მოღვაწეობას დიდი და ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ვისურვებთ მარტო, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ აიღოს ამ შემთხვევაში მაინც მაგალითი რუსეთისაგან და მხნედ შეუდგეს ამ დიდად სასარგებლო საქმეს.

„ამხანაგობა“-კი, ჩვენის აზრით, კარგს საქმეს იზამდა, რომ, რაც-კი იაფ-ფასიანი პატარა წიგნაკები გვაქვს, უწინდელი დაბეჭდილი, მოუყაროს თავითავს და სოფლებში გაავრცელოს: რამდენისამე დამტარებლის შემწეობით. რაც უნდა ცოტა შემოუტანონ ჩვენს ამხანაგობას ამ გვარმა დამტარებლებმა, ჩვენის აზრით, წინა პირველად ხარჯს მაინც უეჭველად დაჰფარავს. მაგრამ ამხანაგობისათვის უფრო ძვირფასი უნდა იყოს ის შედეგი, რომელიც ამ გვარად წიგნების გავრცელებას მოსდევს: ხალხი ცოტად თუ ბევრად მიეჩვევა წიგნების კითხვას და მით გაავრცელებს და გაადიდებს ჩვენის წიგნების ბაზარს და მ'მასადამე მწერლობასა და ლიტერატურასაც ფრთას გაუშლის.

ნიკ. კავკასიძე

— საცა პური იქმნება, ფულიც იქ არი.

— ნეტა, ბიჭებო, მჭადი სხვანაკაც იქმნება?

— ჰმ! მაშ უმჭადო ალაგი იქმნება? საცა გლეხი-კაცია, მჭადიც არი...

(მართლაც, რომ საცა გლეხი-კაცია, მჭადიც იქ არი).

— გლეხი-კაცი რო არ გეეჩინა ღმერთს, ხო არც მჭადი იქმნებოდა ქვეყანაზე?

— ვიღაჰთვინ იქმნებოდა? წმინდა პური თავადებიჰთვინ გაუჩენია, ქერი პური აზნაურებიჰთვინ და მჭადი—გლეხი-კაციჰთვინ. („ბნელო“—88—93 გ.).

ჰკითხულობთ ამ მოთხრობას და გონება თქვენი გლეხების ცხოვრებას ცხადად ითვალისწინებს. ასე გგონიათ, არა თუ ეკითხულობთ, არამედ ნამდვილად ვხედავ იმ სურათებს, რომელიც დახატული აქვს ავტორისაო.

ამ მხრით და საზოგადოდ გლეხ-კაცობის ცხოვრების ცოდნით თამამად შეგვიძლიან „ბნელო“-ს ავტორი დავუბრიისპროთ მეორე მწერალს, შ. არაგვისპირელს. ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ, ჩვენის აზრით, არაგვისპირელის

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲮᲚᲔᲚᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ტფილისის მიხელის სამკურნალოში 16 ნოემბერს ავად იყო 2, კიდევ მიიყვანეს 1 ავადმყოფი—აკოფ მოსესოვი, (7 წაწილი, მეტხის ქუჩა, ზუბალოვის ქარავასლა). 17 ნოემბერს გარდ. 1, ისაკი აკობის ძე შარიკი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲬᲐᲒᲘ

*** ოთხშაბათს, 18 ნოემბერს, ბ-ნ ვ. აბაშიძის სპექტაკლი ჩვენმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ბ-ნ ა. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“ და ვოდევილი „გულმა იგრძნო“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, თეატრი სავსე იყო ხალხით და მობენეფისეს ბევრი საჩუქარი მიართვეს. დაწვრილებით ხვალ მოვილაპარაკებთ.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ—ძე შერვაშიძე, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ამ თთვის 27 დაბრუნდება აბასთუმნიდან ტფილისში.

*** დღეს, 20 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია კრება ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. ამ საზოგადოების თავმჯდომარისა და წევრთა სამსახურის ვადა წრეულს თავდება. ამის გამო 20 დეკემბერს მეორე კრება იქნება, რომელიც აირჩევს ახალს თავმჯდომარეს და მმართველობის წევრთ.

*** ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ დ. სურამს ვიღაცამ განიზრახა იქაურ მომრიგებელ მოსამართლის მოკვლა და თოფი ესროლაო. ტფილისის გუბერნატორმა ამ საქმის გამოსაძიებლად გაგზავნა სურამში ბოქაული ბ-ნი ლოლაძე.

*** 17 ნოემბერს, კუკიაში, 8 წლის ყმაწვილი ვასილ ინასარიძე ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა. ძაღლი იმ წამსვე მოჰკლეს. ყმაწვილი სამკურნალოში გაგზავნეს და პასტერისებურ წესითა სწამლობენ.

*** ჩვენს დრამატ. საზოგადოებას განუზრახავს მოიწვიოს ქუთაისიდგან

ნაწერებს უფრო მეტი სული ეტყობა, მეტი პოეზია, მეტი გრძნობა და მეტი ხელოვნებაც, თუ არა ვსცდებით...

ამ მშვენიერის, ნამდვილთან სწორის სურათებითა და სიკმაოდ ხელოვნურ აწერილობათა მიზეზით აიხსნება ის, რომ თქვენ მაგდენად წუნში არ უგდებთ ავტორს, თუ მისი მოთხრობა თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტებისაგან შესდგება, მერე ისეთ ნაწყვეტებისაგან, რომლებიც მაგდენად მჭიდროდ შეკავშირებულნი არ არიან ერთმანეთ შორის. ეს თითქოს კარგად უგრძვნია თვით ავტორსაც და ამიტომ თითოეულს თავს ანუ კარს მოთხრობისას სხვა-და-სხვა ცალკე სათაურს აწერს; ამით თითქოს შემდეგის თქმა უნდა: სათაურ ქვეშ დაწერილი სათაურში მოხსენებული საგანს თუ-კი კარგად დაგანახვებთ, სხვაზე ნურას უკაცრავადაო.

და მართლაც არც კრებულს (I), არც ბატონებს (III) თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს „ბნელოს“

სიუჟეტთან. ან არა-და, რა-ღა საჭირო იყო შიგ ჩართული რაღაც ზღაპარი, რომელსაც ათქმევინებს ავტორი ვიღაც მეზღაპრე დედაკაცს („ბნელო“, 38 გ.—43 გ.). დავანებოთ ამაებსაც თავი, მაგრამ ის-კი უეჭველია რომ ჩვენ ვერავითარი კავშირი და ალაგი ვერ ვუპოვნეთ მოთხრობაში სომეხ-ვაჭარს. რისთვის ჩაურთავს ავტორს მოთხრობის მომქმედთა შორის ეგ სომეხი ვაჭარი არტემა, ანუ დახლიდარი გეუორქა, ჩვენ სწორე მოგახსენოთ, ვერ გაგვიგია; ჩვენ ბევრი ვეცადეთ, რომ მისი სახელი სადმე მოგვეხსენებინა, როცა მოთხრობის არაკი და შინაარსი გიამბეთ, მაგრამ ყოველმა ჩვენმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. მართალია, ეგ სომეხი კარგად, საკმაოდ ცოცხლად და ტიპიურად არის დახატული, (თუმცა ესეც სათქმელია, რომ ავტორი აქ სომეხზე იმაზე მეტსა და ახალს არას მოგვითხრობს, რასაც და რამდენსაც სხვა ყველა ჩვენი მწერლები ამბობენ, როცა სომხის ტიპის დახატვას შეეხებიან); ხოლო

ჩვენ იმას მოგახსენებთ, რომ როგორც ზემოხსენებულ საგნებს (კრებულს, ბატონებს,) ისე სომეხ-ვაჭარს ჭ კიდევ ზოგიერთ რამეებს მაგდენი კავშირი არა აქვთ მოთხრობის სიუჟეტთან, იმის ნასკვისა და კვანძის და გამოხსნის საქმეში. მაგრამ მიიღებთ რა სახეში, რომ მოთხრობა არის უფრო ᲑᲘᲢᲝ-ᲝᲠᲘᲡᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲐ, ჰხედავთ რა ნამდვილიდამ მეტისმეტად სწორედ გადმოღებულს სურათებს, თქვენ ზემოხსენებულ გარემოებას, არა თუ წუნში არ ჩაუთვლით ავტორს, არამედ კიდევ უფრო მადრიელიცა ხართ ამის გულისათვის.

არც-კი ღირს შენიშნოთ, რომ ავტორს ერთგან ცოტა „რეზონერობაც“ ეტყობა. იმას სძულს გლეხის მიერ ვალის აღება და რამდენჯერმე ლაპარაკობს ამაზე და ამის შესახებ ცოტა მეტს ალაპარაკებს 15—16 წლის ვაჟს, როცა ამ წლოვანების ყმაწვილს არ შეჰფერის ასეთი მოძღვრება.

ენა მოთხრობისა ხალხურია და

მოხელემ ბახტაძემ შეიპყრო ორი კაცი: თელავის მაზრის სოფ. ვარდისუბნის მცხოვრები ლაზარ დეკანოზიშვილი და ქუთაისის გუბერნიის, სოფ. ქვიტირის მცხოვრები ირაკლი ჩაგლაძე. ორივეს მოპარული ნივთები უპოვნეს: ვერცხლის მსრბი, ეკლესიის ჯვარი და ერთი სოგელი, ქურდები გამომძიებელს წარუდგინეს და შემდეგ ციხეში გაჰგზავნეს.

*** ქუთაისი: 15 ნოემბერი. დღეს დილით გასინჯეს ის ადგილი, საცა ბოროტ-გამზრახველებს ფოსტის სალაროს ქვეშ ხვრელი გიეკეთებინად. აი როგორ აღმოაჩინეს ეს ხვრელი. რადგანაც აცივდა და „საპირო იყო სალაროს გათბობა, კედლიდგან ის ყუთი გამოსწიეს, რომელშიაც ფულია შენახული და ჰნახეს, რომ იმ ალაგას, საცა ყუთი იდგა, იატაკი იყო ამოჭრილი. მაშინვე ეს ამბავი პოლიციასა და პროკურორს შეატყობინეს. დათვალიერეს ეს ხვრელი და აღმოაჩნდა, რომ ბოროტ-გამზრახველთ მეორე სახლის ეზოდგან გამოუთხრიათ მიწა. ხვრელში იპოვნეს ტომარა, ხერხი, ბუურა და წმინდა სამოლები.

*** ხაშური (გორის მაზრა): ამ ზაფხულს, ხოლერობის დროს, ხაშურში გასწერეს შეძლების კვალობაზედ ფული, პოლიციის ბრძანებით ხოლერასთან საბრძოლველად და საკმაო ფულიც მოაგროვეს. ფული თითქმის ყველამ გამოიღო, ვისაც-კი რა შეეძლო, ვაჭარსა, თუ მოხელესა. მკურნალი-კი აქ თვალით არავის უნახავს, ამ ფულით დაქირავებული, რასაკვირველია. მოგრეოელ ფულის ანგარიში დღესაც არავინ იცის. არც ის არის ცნობაში მოყვანილი, ვისა აქვს ის ფული და რამდენია სულ. ურიგო არ იქნება, რომ გაზეთის შემწეობით გამოცხადდეს დაწვრილებით სახელი და გვარი, ვისგან რა ფულია მიღებული. რამდენი შესდგა სულ და ვის ხელშია ამ ჟამად ეს ფული.

*** სურამი: 20 ამ ნოემბერს აქ მოელიან ჯარის-კაცთა მოსაკრებ საკრებულოს. სურამიდამ 27 კაცია ჯარში გასაყვანი: ურია, სომეხი ჭ ქართველი. ზოგიერთნი ძდიდარ ვაჭართა შვილიც არის კენჭში ჩასაგდები. ამისთანები ეხლავ ბევრს ცდილობენ,

---

წარმოადგენს მთელს ღირსებას და ნაკლულევანებას ხალხურის ენისა. ხალხურ შედარებასა და მეტაფორებს ხშირად ჰხმარობს ავტორი. საყურადღებოა, რომ ამ ხალხურს ენაში ხშირად შეგხვდებათ ასო ჰ ასო ხ—ნის ალაგას. ამის მაგალითები ჩვენ მიერ მოყვანილ ტექსტშიაც ბევრია.

განა-ღა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობა „ბნელო“ შესანიშნავი ამბავია ჩვენს მწერლობაში? ამიტომ მისს ცალკე გამოცემას „ამხანაგობის“ მიერ სიხარულით მიეგებებიდა ჩვენი მკითხველი საზოგადოება. დიდის ხალისით გადაიკითხავს ამ მოთხრობას ყველა ჩვენი მწერლობის მოყვარული ინტელიგენტი და აგრეთვე ყველა ის, ვისაც ჩვენი გლეხ-კაცობა, მისი მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება საინტერესო და მეტად საყურადღებო საგნად მიაჩნია.

ვ. გ—ე.

25 ენკენისთვე.
აფხაზეთი.

რომ ეს ვალი აიცილონ, მაგრამ, რა-საკვირველია, ვერას გახდებიან.

*** სოფ. მეღვრეკისი: (ბორის მაზრა). ჩვენი საზოგადოება დღევანდლამდის მოკლებული იყო პურის მაღაზიის შენობას, ურომლისოდაც კუს ნაბიჯით მიბობდამდა ჩვენის მაღაზიის საქმე. ჩავყრიდით ჯირნახულს ორმოებში და ზოგს ორმო აოხრება და ზოგს ნიადვარი. დღეს-კი მთავრობის განკარგულებით ფიცხლად შევუდგეთ მაღაზიის საქმეს. შევიძინეთ 500 მანეთად ხის შენობა, სიგრძით თორმეტი და სიგანით ცხრა არშინი. თუმცა ამ 500 მანეთის გამოღებამ დიდად შეგვაშუბა, რადგან სახელმწიფო გარდასახადთან ერთად იკრიბებოდა, მაგრამ ამ შეშუბებას იქნება რამდენისამე წლის შემდეგ მოჰყვეს მხიარულება. აი როგორ: ჩვენის ბოქაულის ბ-ნ გუგუშვილის განკარგულებით ნაბრძანები გვაქვს: ყოველ წლივ თითო მამაკაცზედ 10-დგან 60 წლამდე ვინც არის, მოვკრიბოთ ფუთ-ნახევარი პური შეძლებულზედ და შეუძლებელზედ ქერი და ამ რიგად შაკრებილი ჯირნახული ჩვენსავე სასარგებლოდ ვაიყიდოს ხოლმე. ეს ფული ბანკში შეინახება და ჩვენ „კვიტანციაᲔ“ მოგვეცემა. ეს აქნობამდეც, იქნება, ასრეც იყო, მაგრამ ჩვენ თუ მუდამ არ გველაპარაკებიან და ძალას არ გვატანენ, ჩვენით ვერას ვარიგებთ. თუ ღმერთი შეგვეწია და რამდენისამე წლის შემდეგ შევიძინეთ რამ, ჩვენს ბედს ძალიც აღარ დაჰყეფს. იქნება მაშინ კოტად არის მაინც ავცილდეთ ცხონველელ ვაჭრების მიერ უზომო ძარცვა-გლეჯვას და თითეში თუმანზედ 1 მან. და 1 მ. 20 კ. სარგებლის ძღევას. თუ ღმერთმა ჰქმნა და ბ-ნ მაჩხანელის დეპო-კასებს მიჰბაძეს სხვებმაც და ჩვენს მხარესაც დაეარსა ვინმე, მაშინ ხომ სრულებით უზრუნველ-ყოფილი შევიქმნებით და აბა სწორედ მაშინ მოვუმატებთ მხნეობას.

*** ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲝ. (სოხუმის მაზრა): აქაც გაჩნდა ხოლერა. 13 ნოემბერს ნოვოროსსიისკიდამ ჩამოვიდა ერთი თათარი, რომელიც ხოლერით გარდაიცვალა აქაურს სამკურნალოში. ფერმალმა აცნობა სოხუმის მაზრის ექიმს; ვიდრე ექიმი მოვიდოდა, კიდევ იმედი გვქონდა, იქნება ხოლერა არ აღმოჩნდესო, მაგრამ ექიმმა დაამტკიცა, რომ მიცვალებული ხოლერით ყოფილა ავადაო.

*** „Нов. Дня.“-ს სიტყვით, 21 ნოემბერს მოსკოვში ქართული საღამო გაიმართება. სხვათა შორის ხორო შეასრულებს სიმღერებს: „ოდელია — ნანინა“ და „ოი-და-გოგონა“-ს...

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ᲡᲝᲤ. ᲓᲘᲓᲘ-ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ (ქვემო იმერეთი). 1 ნოემბერი. მშვენიერი ამინდები იყო ამ შემოდგომაზედ, სამაუერი დღეები და ღამე გრილი, მაისივით; კინალამ ხეხილი აგვიყვავდა ხელ-მეორედ. რთველი ორი კვირაა, რაც „ჩამოვიტანეთ“ და ჭინახულის მოსავლისაც ვერ დავემდურებით, რადგანაც ჩვენი ერთად-ერთი შემოსავალი სიმინდია და ის კარგად მოგვივიდა; ღვინომ კარგა ხანია ჩვენგან პირი იბრუნა და ზევით აჰყვა, მაგრამ წელს, ვისაც-კი ჰქონდა თითო-ოროლა ძირი ვიზი, ისახელა თავი და გამოსავალი კარგი იყო. ასე თუ განაგრძო შემდეგშიაც, მგონი, მოგვიბრუნდეს ძველებური დრო და გაამართოლოს მოხუცებულთა სიტყვა, რომლებიც ყველას შესჩივიან, რომ ღვთის რისხვაა სწორედაო. მართლაც, ძველი ას კოკიანი ჭურნი, რომელნიც მოწამენი არიან ძველად ღვინის დიდის მოსავლისა, დღეს წვიმის წყლითთაა ავსებული და ბაყაყებისა და სხვა ქვეძძრომთა ბუდედ გამხდარა.

ამ სახით, რთველს მოვრჩით კარგ ამინდების წყალობით ასე ადრე; ღმერთსაც ნუ უნებებია წასულ წელსავით ცუდი ტაროსები დაგვსწრებიყო, თორემ, თქვენი მტერი, ჩვენ სა-ქმე მოგვივიდოდა: ჯერ ჭირნახული ნახევარი გარედ დაგვრჩებოდა და მერე ხარ-კამეჩიც ლაფში ჩაგვერჩობოდა სადმე ჩვენის გზების გადამკიდე. ქვემო იმერეთში საზოგადოდ მისცოა-მოსცა ძლიერ ადვილია, რადგანაც ვაკე ალაგია და ყოველ გვარ ეტლს თავისუფლად შეუძლიან იაროს. თუ კაცმა ცოტაოდნად მაინც შეუწყო გზებს ხელი, აქ გზებს თავის დღეში არ წალეკავს და არ გააოხრებს ღვარი, როგორც ზემო იმერეთს და რაჭას. მართლაც მშვენიერი გზები არის თითქმის ყველა სოფლებში, გარდა ჩვენის სოფლისა; ავიღოთ კულაშის, ეწრის, ჯაგნის და სხვა საზოგადოების გზები, რომელნიც მშვენიერად არის ნაკეთები და ხრეშიც-კი აქვს ზედ მოყრილი; რასაკვირველია, რომ ამისთანა გზებზედ მგზავრს არა გაუჭირდება-რა და არც მოსწყინდება სიარული, გინდ დარი იყოს და გინდ ავდარი. მიუხედავად ამისა, რომ ჩვენი სოფელი ამ ხსენებულ სოფლებს გვერდზედ აკრავს, სულ სხვა სურათს წარმოადგენს ამ უკანასკნელ ხანს. აქ უცხო კაცი თუ მოვიდა გზად, იფიქრებს, ნუ თუ ამისთანა მდებარეობის სოფელში გზები ასე ოღრო-ჩოღრო უნდა იყვეთო. მართლაც და სიარული კარგ ამინდებში კიდევ ჰო, ისიც დღით, ხოლო ღამითკი ძნელია, სადმე ფეხს წაიმტვრევს ან ცხვირ პირით შეეჯახები ხეს, ან და კიდევ ნარუალში ჩავარდები. რა-კი ცოტას წამოწვიმს, დადგება გუბეები და მაშინ საკიროა მგზავრმა ცურვაც იცოდეს, თორემ ადვილად შეესაძლოა სადმე ჩაიჩაოს; ურმით ან ეტლით მოგზაურობა შეუძლებელია. ხშირია რომ შუბლი გაიჩეხოს ადამიანმა ეტლის წამოქცევით და ჩიტივით„ გამოირეკჯვეს“ შიგ. არ გაგიკვირდეთ, რომ დიდ-ჯიხაიშში ასეთი უკმაკური გზებია. წარსულს წელს ცოტა გამოიწმინდეს ჩვენებურებმა ყურები და მითომ გზების კეთებას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ზამთრის ყინვებმა ეს საქმეც ზედ მიაყინა და გზების კეთება მას შემდეგ შეჩერდა.

წელს, როგორც საზოგადოდ სხვაგან, ჩვენშიაც დიდი შიში იყო ხოლერობისა და არავითარი ეზადება და საშუალება მისდა საწინააღმდეგოდ არა გვქონია, მაგრამ, ღვთის წყალობით, საშიშარმა მტერმა გვერდი აგვიარა და მშვიდობით გადავრჩით; მხოლოდ ციებ-ცხელებამ ხელი გაუსვა და ოჯახი ისე არ დატოვა, რომ თითო-ოროლა ციებ-ცხელებიანი არ ყოფილიყო, მაგრამ ჩყენში ჩქარა ავადმყოფობასაც გამოუჩნდება მტერი და მისი ფარ-ხმალი დაგვიფარავს. წარსულ ზაფხულს აქ ნება-რთვა მიიღო ბ-ნმა ი. კანდელაკმა აფთიაქის გიმართვისა; აფთიაქის შენობა და ყოველი სააფთიაქო მოწყობილობა უკვე მზად არის და დღე-დღეზედ აფთიაქის კურთხევა იქნება; კურთხევას დაესწრება თვით გუბერნიის ექიმი. შემდეგში იმედი გვაქვს, რომ ექიმებიც გვეყოლება თვით ჩვენ სოფელში, რადგანაც ორი აქაური ახალგაზდა წელს ათავებს სამკურნალო ფაკულტეტს და იმათ გინზრახვა აქვთ საპრაქტიკოდ აქვე დარჩნენ; ეს აზრი ძრიელ მოსაწონია; რასაკვირველია, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სოფელს და ბევრად წინ წასწევს მის წარმატებას. საეჭვოც არ არის, რომ ექიმს ჩვენში კარგი პრაქტიკა ექნება, რადგანაც თვით ჩვენ სოფელში ათას კომლზედ მეტი მცხოვრებია, სხვა ოთხი ხუთი სოფელიც ზედვე აკრავს. იქ კიდევ სამი ამდენი მცხოვრები იქნება და რაკი ექიმს ჩვენში 'მეიგულებენ, ნამეტნავად ჩვენსავე მამულიშვილს, უსათუოდ ჩვენგან მიიწვევენ. აქამომდე დიდ გაჭირვებაში ვიყავით უწამლობით და უექიმობით, რადგანაც ექიმისა და წამლებისთვის დ. ხონს და სამტრედიას უნდა გავქცეულიყავით და თითო მოწვევა ექიმისა 10—12 მანეთი გვჯდება; რაკი ბევრს ეს არ ძალ-უძს სიღარიბისა გამო, ხშირად მოხდება, რომ უბრალო ავადმყოფობამ წუთი სოფელს გამოასალმოს ჩვენში კაცი. ახლა აფთიაქი უკვე გვაქვს და, ექიმიც თუ-კი გაგვიჩნდა, მაშინ აღარა გვიშავს-რა: რაც წინად ათი-თორმეტი მანეთი გვიჯდებოდა, ის სამოორი მანეთი და გვიჯდება მაშინ; 2—3 მანეთს არა კაცი არ დაიშურებს სიმწარისა და სიკვდილის ასაცდენად.

არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული თქვენს გაზეთში ჩვენის სოფლის ქურდ-ბაცაცების ამბავი. ხშირად ჰქონდათ ბაასი იმათ შესახებ აქაურს მცხოვრებლებს და ცდილობდნენ შინაური ქურდების გაძევებას, რომ გარეულებსაც ფეხი შოსტეხოდა ამით. წარსულს წელს აგვისტოსა თუ ივლისში, კარგად არ მგონდება, ყრილობა იყო მაშინდელ ბოქაულის თაოსნობით. იმ ყრილობას თავად-აზნაურობაც დაესწრო; გლეხები თხოულობდნენ: თავად-აზნაურნი და ჩვენ ძმურად შევეკრად ერთმანეთს პირობით ქურდობის მოსპობის გამო და შენიშნულნი გავაძეოთო, მაგრამ თავად-აზნაურები განზე გადგნენ და ყრილობაში თავიანთ მოძმის გამოქვეყნება იუკადრისეს. ისინი დაჰპირდნენ ბოქაულს, ჩვენ საიდუმლოდ წარმოგიდგენთ, ჩვენში თუ ვინმე აღმოჩნდება ცუდის ყოფა-ქცევის კაციო. გლეხებმა მარილაც ანუხსეს შენიშნული გლეხთაგანნი და სთხოვეს ბოქაულს, გუბერნატორთან ეშუამდგომლა მათ გაძევების თაობაზედ; თავად-აზნაურთ არ წარადგინეს შენიშნულნი. მას შემდეგ საქმე მიჩუმდა და მიიძინა, რით და ვისით, არც ეს ვიცით. ქურდებმა უფრო შეისხეს ფრთები და, თუ სადმე ჩვენში კარგი ცხენი იყო, აღარ გაუშვეს, ასე რომ ამოდენა სოფელში, საბოროებამ რომ მოითხოვოს, ოცს ცხენს ვერ იშოვით, როდესაც წინად ასობით და ორასობით იყო.

წარსულს წლის ოქტომბერში ჩვენ სოფელს ყაჩაღებიც-კი ეწვივნენ და მღვდელი კეპახიძე გაძარცვეს. წელს ამ შემოდგომაზედ ხელ-ახლად გაჩნდა აქა-იქ ცხენების და ხარების ქურდობა.

ასე, ბატონებო, თუ რამე ღონისძიება და საშუალება არ იქმნა მიღებული მთავრობის მიერ, შესაძლებელია, ჩვენც მოგვიპარონ ბნელ-ღამეში და სადე მთაში ამოგვარგვევინონ თავი.

გარეშე გლეხი

რუსეთი

— როგორც გაზეთი „Нов. Вр.“ იუწყება, განსაკუთრებული კომისია მომავალ წლის იანვარში შეუდგება სახელმწიფო ბანკის წესდების განხილვას.

— „Мос. Вѣд.“-ში ვკითხულობთ, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა სიმფეროპოლის იმ მევენახეთა თხოვნა, რომელნიც ქალაქში ღვინით ვაჭრობენ, რომ უფლება მოგვენიჭოს ქალაქის არჩევანებში მონაწილეობის მიღებისაო. სამინისტრომ ეს თხოვნა შეიწყნარა.

— ამ ბოლო დროს რუსეთის შაქრის მექარხნეებმა ძლიერ დაადგირეს შაქარი და ამბობენ, წელს ჭარხლის მოსავალი ძლიერ ცუდი იყოო. ამ საქმის გამოსაძიებლად რუსეთის დასავლეთ-სამხრეთის გუბერნიებში გაიგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგანგებო მოხელე ა. ი. ბაზილევსკი, რომელმაც ადგილობრივ უნდა შეკრიბოს ცნობანი ჭარხლის მოსავლის შესახებ.

შაქრის ქარხნებში შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ წელს ამ ქარხნებს გაუკეთებიათ 24 მილლიონი ფუთი შაქარი, წინა წლებიდგან დარჩენილია კიდევ 1 მილლიონი ფუთი. ამ ჟამად ოდესასა, მოსკოვსა და კიევში ფუთი შაქარი 6 მანეთად და 50 კაპეიკად იყიდება. გერმანიიდგან მოტანილი შაქარი-კი ოდესაში 4 მ. და 84 კაპ. ფუთი. რა თქმა უნდა, რომ წელს რუსეთიდგან შაქარს საზღვარ გარედ ვერ გაიტანენ, რადგან რუსეთის შაქარი უფრო ძვირია. წინა წლებში-კი რუსეთიდგან დიდ-ძალი შაქარი მიჰქონდათ, თუმცა შაქრის საზღვარ-გარედ გატანის მოწმობა ძლიერ ძვირი იყო (ფუთზედ 1 მან. 65 კაპ. უნდა გადაეხადნათ). ეხლა-კი ასეთი მოწმობა ძლიერ იაფია (ფუთზედ 55 კაპეიკი). შაქრის მექარხნეები ამ მოწმობებს ჰყიდულობენ და მომავალ წლისთვის ინახვენ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

წარსულის თთვის ოქტომბრის 26-ს ქ. ოზურგეთში სტენის მოუკარულთაგან გამხრთულ იქმნა წარმოდგენა სკვეჯომოქმედო ჯზრთა: მონსწავლეობის იღებდნენ: ქ-ნნი ელ. გ. კეღერაძისა, ნ. ი. ხუთაძისა და ბ-ნნი ივ. მ. ბოიმელაური, გ. შ. წიკლაური, ბ. დ. ალბორაშვილი, ვ. ქოქოძე, კ. ი. კალანდარიშვილი, დ. კალანდარიშვილი, და თ. ბოგიტიძე.

წარმოდგენიდგან შემოვიდა 97 მან. 75 კაპ. ხარჯი იყო 16 მ. 6 კ

დარჩა წმინდა შემოსავალი 81 მ. 69 კ. ამ ფულიდგან 45 მ. გაეგზავნა სტუდენტს ს. ბ—ძეს. (ტელეგრამა № 202) დანარჩენი 36 მ. 69 კ. გადაეცა ოზურგეთის დედათა სასწავლებლის სამშრეველო კომიტეტს.

ოზურგეთის დედათა სმსწავლებლის მასწავლებელი:

ელისაბედ ჯიკინაძე

1892 წ. 15 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

დეპეშა

18 ნოემბერი

„Гражд.“ იუწყება, რომ სამეურნეო მრეწველობის დაქვეითების შესახებ კომისიის თავმჯდომარის პლევეს მოხსენება გამოიწვევს მინისტრთა თათბირს შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო სამეურნეო სამინისტროდ გადაკეთდეს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ლესსეპსის შვილმა, კოტტიუმ და მორიუს ფონტანმა პანამის საზოგადოების გამგეო უარი სთქვეს, გამომძიებელ კომისიაში არ გამოვცხადდებითო. უფროსმა კროკურორმაც უარი სთქვა, გამომძიებელ კომისიას პანამის შესახებ საბუთის ქაღალდებს არ წარუდგენო. პროკურორის ასეთი საქციელი კანონის წინააღმდეგია.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ პოტსდამს მიბრძანდნენ. პოტსდამის სასახლეში მათ უმაღლესობას პატივის საცემლად გაიმართა სადილი, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ: პრუსიის პრინცი ლეოპოლდი მეუღლითურთ, მეკლენბურგის ჰერცოგი იოჰან - ალბერტი მეუღლითურთ, რუსეთის ელჩი, კანცლერი კაპრივი და გენერალი ვერდერი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 17 ნოემბ.

	ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲠᲘᲡ.	ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗ-ᲛᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲘᲡ	8,07	8,11	— ,,
ᲢᲣᲛᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲗᲘᲡ	16 3/4	16 3/4	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲣᲤᲣᲚᲘ	1,08	1,10	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲔᲗᲘ	— ,,	— ,,	242 1/2
—ᲛᲔᲝᲠᲔᲠᲘᲡ	— ,,	— ,,	221 3/4
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘ. ᲤᲣᲤᲣᲚᲘ	— ,,	— ,,	193 1/2
ᲒᲠᲘᲜᲒᲔᲜᲘᲡᲗᲘᲡ ᲤᲣᲤᲣᲚᲘᲡᲜᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲗᲘᲡ:			
6%.	102	— ,,	— ,,
5%.	99,02	— ,,	— ,,
ᲛᲘᲬᲝᲗᲘᲡᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲗᲘᲡ 6%	102	— ,,	— ,,
5%	99,87	— ,,	— ,,
5% ᲝᲠᲚᲝᲕᲘᲡ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲥᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲘᲡ	98	— ,,	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲛᲘᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲪᲘᲪᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲖᲔ

ᲠᲐᲥᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲘᲜᲝᲬᲚᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაკოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაკოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲣᲯᲘᲡ ᲨᲣᲐ.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. ღილ.

ბათუმიდან გადის:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიღლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეიღლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკისა და სოხუმით.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და იწყება
1893 წლის

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

შედგენილი
სომხიშვილი ყანაოზის-მიერ
და
გამოცემული
ᲚᲘᲖᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

(2—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ 35-ს ტირაჟში, რომელიც მოხდა 2 ნოემბერს 1892 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა

ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡᲐᲜᲘ

27½ წლის ვადისანი:

მე-2 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 38, 60, 61, 113, 114, 130.

500 მან. ღირსებისა №№ 20, 48, 51.

1000 მან. ღირსებისა №№ 12, 66, 70, 128, 156, 179.

მე-3 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 28, 63, 95, 105 159, 167. 168, 175.

500 მან. ღირსებისა №№ 126, 130, 149.

1000 მან. ღირსებისა №№ 27, 40, 68, 129.

მე-4 სერიისა 500 მან. ღირსებისა №№ 6, 31, 36, 78.

1000 მან., ღირსებისა № 14.

მე-11 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 32, 57, 60, 98, 116, 133, 143, 145, 155, 160, 171, 172, 173, 178, 179, 183, 188, 194, 245, 251, 261, 266, 271, 279, 289, 291, 298, 309.

1000 მან. ღირსებისა № 9.

43½ წლის ვადისანი:

მე-6 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 26.

500 მან. ღირსებისა №№ 11, 16.

1000 მან. ღირსებისა № 1.

მე-7 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 404.

მე-8 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 30, 43, 44, 80, 82, 87, 93, 125, 129, 142, 157, 170, 172, 175, 187, 190, 192, 195, 222, 225, 256, 261, 301.

500 მან. ღირსებისა №№ 34, 50, 73, 81.

100 მან. ღირსებისა №№ 8, 11, 14.

მე-9 სერიისა 100 მან., ღირსებისა №№ 6, 12, 28, 31, 44, 49, 52, 60, 73, 74, 77, 78, 152, 156, 163, 168, 277.

500 მან. ღირსებისა №№ 37, 60.

1000 მან. ღირსებისა №№ 9, 47.

მე-10 სერიისა 500 მან. ღირსებისა №№ 4, 6.

1000 მან.. ღირსებისა №№ 6, 8, 11, 13, 20, 21.

მე-11 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 3, 4, 12, 14, 44, 47, 50, 57, 75, 110, 115, 120, 176, 178 და 217.

500 მან. ღირსებისა №№ 15, 117.

54½ წლის ვადისანი:

1-ლი სერიისა 1000 მან. ღირსებისა № 9.

მე-2 სერიისა 100 მან., ღირსებისა №№ 35, 55, 68.

500 მან., ღირსებისა №№ 7, 20, 47, 49.

1000 მან. ღირსებისა №№ 57, 65, 67.

მე-3 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 46.

500 მან. ღირსებისა №№ 20, 22.

1000 მან., ღირსებისა №№ 5 31, 36.

მე-5 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 7, 27, 102, 157 და 191.

500 მან. ღირსებისა №№ 6, 9, 42, 55, 66, 107, 119, 152, 176, 210.

1000 მან. ღირსებისა №№ 26, 27, 38, 43, 65.

ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡᲐᲜᲘ

27½ წლის ვადისანი:

1-ლი სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 20, 50, 103, 108, 110, 153, 181, 183, 203, 219, 220, 227, 237, 249.

150 მან. ღირსებისა №№ 3, 29.

500 მან. ღირსებისა №№ 23, 28, 67, 90.

1000 მან. ღირსებისა №№ 15, 25, 27, 35, 65, 76, 134, 151, 184, 216, 227, 228, 258, 316, 319: 352, 381.

მე-2 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 15, 36, 63, 67, 100, 120, 126, 131, 137, 160, 169, 174, 177, 178, 193, 194, 218, 230, 231, 242, 245, 251, 273, 274 275, 279, 302, 323, 340, 344, 348, 359, 362, 378, 380, 394, 399, 409, 410.

500 მან. ღირსებისა №№ 17, 19, 37, 47, 53, 61, 71, 93, 96, 99, 111, 130, 164.

1000 მან. ღირსებისა №№ 6, 13, 53, 69, 70, 73, 92, 105, 112, 134, 140, 146, 165, 177, 183, 184, 193, 210, 217, 225, 232, 261, 262, 322, 327, 336, 381, 384, 411, 420, 429, 462, 488, 490, 520, 536, 542, 594, 608, 609, 610, 618, 620, 629, 669, 671, 674, 695, 709, 716, 728, 752, 771, 773, 774. 790, 794, 810, 812, 813, 869, 885.

მე-4 სერიისა 100 მან., ღირსებისა №№ 37, 47, 79, 81, 92, 98, 105, 107, 125, 136, 145, 162, 170, 171, 187 და 188.

500 მან. ღირსებისა № 17.

1000 მან. ღირსებისა №№ 14, 50, 59, 102, 124, 162, 172, 186, 208, 233, 256, 264, 286, 295.

მე-5 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 8, 131.

500 მან. ღირსებისა № 40,

1000 მან. ღირსებისა №№ 47, 90, 202, 263, 273, 287, 337.

მე-6 სერიის 100 მან. ღირსებისა №№ 35, 97, 100.

500 მან. ღირსებისა № 8.

1000 მან. №№ 10, 22, 30, 42, 52, 77, 85, 111, 115.

7 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 161, 188, 204.

500 მან. ღირსებისა № 11.

1000 მან. ღირსებისა №№ 140, 199, 294, 319.

მე-8 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 3, 32, 57, 64.

1000 მან. ღირსებისა №№ 7, 10, 12, 16, 52, 57.

მე-9 სერიისა 500 მან. ღირსებისა № 32.

1000 მან. ღირსებისა №№ 49 53 82.

მე-10 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 1, 18, 31.

მე-11 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 1, 3, 25.

500 მან. ღირსებისა № 16.

1000 მან. ღირსებისა №№ 19, 51, 76, 117, 132, 139, 146, 196, 214, 218, 259.

მე-12 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 16, 23, 64.

500 მან. ღირსებისა №№ 4, 19, 42, 47.

1000 მან. ღირსებისა №№ 3, 43, 44, 47, 57, 82, 91, 92, 112, 115, 126, 131, 138, 143, 162, 164 166, 192, 216, 218.

მე-13 სერიისა 1000 მან. ღირსებისა № 120.

მე-14 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 4, 90, 103.

500 მან. ღირსებისა № 6, 34.

1000 მან. ღირსებისა 5, 8, 29, 37, 39, 40, 54, 55, 56, 76, 78, 84, 87, 90, 92, 95, 97.

მე-15 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 1, 38, 49, 97, 145, 261, 376, 438, 603.

500 მან. ღირსებისა №№ 68, 76, 112.

1000 მან. ღირსებისა №№ 9, 39, 49, 53, 74, 75, 94, 97, 132, 144, 163, 171, 175, 184, 188, 196.

მე-16 სერიისა 100 მან. ღირსებისა № 322.

1000 მან. ღირსებისა №№ 105, 119.

მე-17 სერიისა 1000 მან. ღირსებისა №№ 413, 480.

მე-18 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 1, 15, 19, 27, 28, 32, 60, 67, 76, 88, 91, 99, 106, 119, 161, 208, 210, 214, 228, 244, 321, 336, 341, 345.

500 მან. ღირსებისა №№ 34, 38, 53, 79, 82, 91, 104, 123, 186, 193, 206, 210, 216, 220, 221, 230, 235, 242, 246, 271, 277, 278, 293, 303, 308, 318, 324, 355, 397, 416, 421.

1000 მან. ღირსებისა №№ 9, 15, 17, 18, 30, 43, 54, 65, 76, 78, 102, 175, 199, 208, 220, 229, 230, 234, 238, 243, 274, 287, 303, 317, 318, 322, 327, 328, 332, 334, 348, 408, 429, 448, 449, 465, 470, 478, 492, 517, 540, 545, 549, 572, 574, 575, 576, 585, 597, 601, 605, 612, 614, 615, 621, 628, 653, 678, 684, 694, 697.

მე-19 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 38, 39, 51, 56, 69, 71, 75, 182, 249, 252 275, 292, 300, 316, 319, 335, 337, 349, 358, 370, 372, 376, 377, 391, 440, 458, 479, 481, 482, 483, 486.

500 მან. ღირსებისა №№ 24, 30, 38, 42, 73, 80, 83, 88, 92, 97, 120, 126, 130, 148, 152, 157, 190, 194, 244, 249, 256.

1,000 მინ. ღირსებისა №№ 36, 37, 56, 70, 71, 110, 120, 129, 130, 139, 142, 151, 157, 165, 172, 205, 207, 208, 210, 222 243, 256, 278, 294, 297, 354, 365, 392, 404, 408, 423,, 442, 499, 503, 520.

მე-20 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 2, 33, 45, 47, 61, 89, 130, 142, 154, 173, 178, 200, 209, 213, 247, 285, 317, 318, 358, 367, 375, 377, 380, 392.

500 მან. ღირსებისა №№ 15, 60, 67, 94, 109, 120, 127, 150, 166.

1000 მან. ღირსებისა №№ 28, 46, 70, 79, 97, 137, 152, 157, 162, 167, 168 169, 179, 183, 189, 206, 228, 23 9, 294, 297, 298, 328, 337.

43½ წლის ვადისანი:

1-ლი სერიისა 1000 მან. ღირსებისა № 113.

მე-2 სერიისა 1000 მან. ღირსებისა № 13.

მე-3 სერიისა 100 მან., ღირსებისა №№ 84, 103.

1000 მან. ღირსებისა №№ 21, 27, 31.

მე-4 სერიისა 1000 მან. ღირსებისა №№ 51, 81.

მე-5 სერიისა 500 მან. ღირსებისა № 19.

მე-6 სერიისა 1000 მან., ღირსებისა №№ 1, 3, 8, 9, 15, 18, 19, 22, 23, 26, 31, 33, 34, 37, 38, 40, 44, 45, 46, 48, 49, 60, 62, 64, 69, 73.

მე-7 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 33, 60, 62, 63, 77.

500 მან. ღირსებისა №№ 2, 8.

1000 მან. ღირსებისა №№ 5, 13, 40, 55, 59, 76, 82, 94, 110, 122.

მე-9 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 45, 49, 81, 83, 231, 243, 261.

500 მან. ღირსებისა № 3.

1000 მან. ღირსებისა №№ 2, 49, 56, 72, 94, 162, 172, 192.

მე-9 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 25, 31, 32, 62, 64.

500 მან., ღირსებისა №№ 8, 14, 25.

1000 მან. ღირსებისა №№ 16, 22, 28, 33, 34, 39, 53, 56 60 64, 75, 77.

მე-10 სერიისა 500 მან. ღირსებისა № 7.

მე-12 სერიისა 1000 მან. ღირსებისა №№ 3, 4, 5, 7, 8, 9, 28, 29.

მე-13 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 92, 106.

1000 მან. ღირსებისა № 11.

მე-14 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 2, 24, 34.

500 მან. ღირსებისა № 18.

1000 მან. ღირსებისა № 36.

მე-15 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 35, 48, 58, 80.

500 მან. ღირსებისა №№ 10, 28.

1000 მან. ღირხებისა №№ 24, 30, 40, 47.

მე-16 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 17, 72, 86.

მე-17 სერიისა 500 მან. № 7.

1000 მან. ღირსებისა №№ 6, 7, 13, 15, 16, 19, 21, 22, 24, 25, 26, 27, 29, 30, 31, 32, 36, 37, 38, 39, 41 43.

მე-18 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 13, 17, 24, 30.

500 მან. ღირსებისა №№ 12, 32, 41, 55.

1000 მან. ღირსებისა №№ 4, 14, 37, 76, 85, 88, 94, 95, 96.

მე-19 სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 17, 32, 59, 79.

500 მან. ღირსებისა №№ 32, 36.

1000 მან. ღირსებისა №№ 36, 57, 68, 86, 88.

მე-20 სერიისა 500 მან., ღირსებისა № 16.

1000 მან. ღირსებისა № 21.

მე-21-ე სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 33, 36, 39, 43, 99.

500 მან. ღირსებისა №№ 3, 7.

1000 მან. ღირსებისა 13, 14, 30, 37, 40, 55.

მე-22-ე სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 52, 53.

5%-ანები:

29 წლისა და 9 თთვისანი

1-ლი სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 18, 34, 53.

36 წლისა და 4 თთვისანი:

1-ლი სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 350, 361, 474, 1,519, 1,896, 2,223.

500 მან. ღირსებისა №№ 470, 807.

1000 მან. ღირსებისა №№ 176, 177, 210, 291, 460.

61 წლისა და 8 თთვისანი:

1-ლი სერიისა 100 მან. ღირსებისა №№ 936, 948.

უვადონი:

100 მან. ღირსებისა №№ 1,127, 1,182, 1,225, 1,234, 1,243, 1,261, 1,292, 1,528, 1,660, 1,663, 1,703, 1,758, 1,761.

500 მან. ღირსებისა №№ 82, 201, 464, 491 875, 995.

1000 მან., ღირსებისა №№ 159, 453, 471, 516, 559, 749, 759, 824, 850, 1,559, 1,560, 2,000, 2,099.

ფულის მიღება ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცელთა მაგიერ შეიძლება: ქ. ტფილისში, ბანკის კასიდგან, სანკტ.-პეტერბურგში—სესხის გამცემთა და განაღდების ბანკში, ოდესსა—ბ-ნ ო. ხაისთან, ტაგანროგს, როსტოვს (დონისას)—აზოვისა და დონის საკომერციო ბანკში და იმ ქალაქებში, საცა ამ ბინკის განყოფილებანი არსებობს. ხარკოვის—ვაჭართა საქალაქო ბანკში, მოსკოვს—მოსკოვის განაღდების ბანკში, ვარშავას—ვარშავას საკომერციო ბანკში, კიევს—კერძო საკომერციო ბანკში, რიგას—სამირეკო ბანკში, რეველს—ბბ-ნთ მაიერსა და კ-ᲝᲡ-საგან და სახელმწიფო ბანკის ყველა კანტორებსა და განყოფილებაში.

(1—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Ноября 1892 г. სტამბა ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲘᲡ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲩᲐᲫᲔ.